VI კლასის მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სადამრიგებლო საათზე

მარიამ ადამია

მარიამი აფრიდონიძე

მეგი ბასილაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე განათლების აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: სოფიკო ლობჟანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნინო ჭიაბრიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარიამ ადამია, მარიამი აფრიდონიძე, მეგი ბასილაია

თარიღი: 20.06.2024

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო კვლევის ანგარიშს, რომელიც ჩატარდა თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში. კვლევის მიზანი იყო VI კლასის მოსწავლეებში 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმით მოთხოვნილი მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სადამრიგებლო საათზე. პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები (ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, არასტანდარტული კითხვარი, საკლასო დისკუსია). დიაგნოსტირების ეტაპზე გამოვავლინეთ დეფიციტური მოქალაქეობრივი კომპეტენციები: პასუხისმგებლობა, თვითშეფასება, თვითკონტროლი, თვითგამოხატვა, პრობლემის გადაჭრა, პატივისცემის გამოვლენა საკუთარი მშობლიური გარემოს მიმართ, შემწყნარებლური დამოკიდებულება განსხვავებული კულტურის და რელიგიის მიმართ, თანამშრომლობითი უნარ-ჩვევები და მოქალაქეობრივი აზროვნება. დავგეგმეთ და სადამრიგებლო საათზე განვახორციელეთ შესაბამისი ინტერვენციები გამოვლენილი დეფიციტური მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების მიზნით. სკოლის თვითმმართველობის და სამოქალაქო კლუბის წევრების თანამშრომლობით განხორციელდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისა და უფროსკლასელების ურთიერთსწავლება. ინტერვენციების შედეგად გაუმჯობესდა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი კომპეტენციები.

კვლევამ დაადასტურა, რომ მნიშვნელოვანია მიზნობრივად და თანმიმდევრულად დაიგეგმოს და განხორციელდეს სადამრიგებლო საათზე არაფორმალური აქტივობების საშუალებით მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოქალაქეობრივი კომპეტენციები, სოციო-ემოციური სწავლება, ურთიერთსწავლება.

Abstract

This master's thesis is a master's research report, which was conducted in the 55th public school of Tbilisi. The purpose of the study was to promote the development of citizenship competencies required by the 2018-2024 National Curriculum in class VI students during the lesson.

We used qualitative research methods (interviews, focus groups, non-standard questionnaires, class discussions) when conducting practice research.

At the diagnosis stage, we identified deficient citizenship competencies: responsibility, self-esteem, self-control, self-expression, problem solving, showing respect for one's native environment, tolerant attitude towards different cultures and religions, cooperative skills and civic thinking.

We planned and implemented appropriate interventions during the teaching hours in order to develop the identified deficient civic competences. With the cooperation of the school's self-government and the members of the civic club, mutual learning of elementary school students and senior students was carried out. As a result of the interventions, the civic competences of students improved.

The research proved that it is important to purposefully and consistently plan and implement the development of citizenship competencies in students through informal activities during the lesson.

Key search words: citizenship competencies, social-emotional learning, mutual learning.

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ თბილისის 55-ე საჯარო სკოლის დირექტორს მაია აბრამიძეს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით სკოლის სამოქალაქო კლუბის ხელმძღვანელს ნუგზარ სადიკოვს, VI კლასის დამრიგებელს იოსებ გოგიჩაიშვილს, სკოლის თვითმმართველობის და სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებს აქტიური თანამშრომლობისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელებს, სოფიკო ლობჟანიძეს და ნინო ჭიაბრიშვილს მხარდაჭერისთვის, საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის გაზიარებისა და სათანადო უკუკავშირისთვის.